შემუშავებულია შპს სკოლა რუსთველის პედსაბჭოს მიერ.

№1 სხდომის ოქმი 03. 09. 2025 წ.

დამტკიცებულია:

შპს სკოლა რუსთველის დირექტორის მიერ №10 ბრძანებით 04. 09. 2025 წ.

.....

თინათინ ბეთიაშვილი

შპს სკოლა რუსთველი

რემედიაციის პროგრამის დებულება

2025-2026

ზოგადი დებულებები:

1. რემედიაციის პროგრამა ორიენტირებულია მასში ჩართული თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე და ესგ-ის სტანდარტების მისაღწევად გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი ინტერვენციები. პროგრამაში მონაწილეობენ ისეთი მოსწავლეები, რომელთათვისაც სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული უნარ-ჩვევების დასაუფლებლად საკმარისი არ არის;
2. რემედიაციის პროგრამა ხორციელდება დაწყებით, საბაზო ან საშუალო საფეხურზე, ნებისმიერ საგანში, საჭიროებისამებრ;
3. რემედიაციის პროგრამის განხორციელება იწყება საგნის მასწავლებლის მიერ მოწოდებული ყოველმხრივ სანდო ინფორმაციის საფუძველზე (ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემთა შეგროვებას, დიაგნოსტირებას, ანალიზს და ა.შ. რაოდენობრივ-თვისებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით);
4. რემედიაციის პროგრამის ამოქმედება იწყება მასწავლებლის მიერ სკოლის ადმინისტრაციისადმი ოფიციალური მიმართვის მერე;
5. რემედიაციის პროგრამის ამოქმედება სასურველია სასწავლო პროცესში ორგანული ჩაშენებით.

რემედიაციის პროგრამის ამოქმედება:

1. რემედიაციის ამოქმედება სავალდებულოა დაწყებით საფეხურზე (1-ელი კლასიდან მე-5 კლასის მეორე სემესტრამდე), თუ დასტურდება მოსწავლის არადამაკმაყოფილებელი მიღწევები საგნობრივი კომპეტენციებსა და ფუნქციურ-გლობალურ უნარებში;
2. რემედიაციის ამოქმედება სავალდებულოა დაწყებით საფეხურზე (მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან მე-6 კლასის ჩათვლით), თუ დასტურდება მოსწავლის არადამაკმაყოფილებელი მიღწევები საგნობრივი კომპეტენციებსა (განმსაზღვრელი შეფასება ნაკლებია 5-ზე) და ფუნქციურ-გლობალურ უნარებში;
3. რემედიაციის ამოქმედება სავალდებულოა საბაზო-საშუალო საფეხურზე, თუ დასტურდება მოსწავლის არადამაკმაყოფილებელი მიღწევები საგნობრივი კომპეტენციებსა (განმსაზღვრელი შეფასება ნაკლებია 5-ზე) და ფუნქციურ-გლობალურ უნარებში;

რემედიაციის პროგრამის ეტაპები:

- რემედიაციის პროგრამაში ჩასართავ მოსწავლეთა იდენტიფიცირება;
- პროცესთან დაკავშირებულ მხარეებთან (ადმინისტრაცია, ოჯახი, სხვა მასწავლებლები) კომუნიკაცია და თანამშრომლობა.
- სამუშაო ფორმატის შემუშავება (გაკვეთილში ჩაშენებით, გაკვეთილისაგან მოწყვეტით ან დამატებითი გაკვეთილის სახით);
- სარემედიაციო სივრცის მოწყობა (თუ რემედიაცია ხორციელდება გაკვეთილისაგან მოწყვეტით ან დამატებითი გაკვეთილის სახით);
- სასწავლო რესურსებისა და აქტივობების შერჩევა-მომზადება;
- მეცადინეობების ჩატარება (თუ რემედიაცია ხორციელდება გაკვეთილისაგან მოწყვეტით ან დამატებითი გაკვეთილის სახით) , აქტივობების განხორციელება;
- რემედიაციის პროცესის დიაგნოსტირება, ანალიზი, პროგრესის მონიტორინგი;

- რემედიაციის პროცესის შესახებ ანგარიშის მომზადება.

რემედიაციის პროგრამაში ჩასართავ მოსწავლეთა იდენტიფიცირება:

- იმ კლასებში, რომლებშიც არ იწერება ნიშანი (განმსაზღვრელი შეფასება), აკადემიურ-საბაზისო უნარების დეფიციტი დგინდება მასწავლებლის მიერ შერჩეული ინსტრუმენტებით (ჩეკ-ლისტებით, დაკვირვებით, ზეპირი და წერილობითი დავალებების დიაგნოსტირებით…);

- იმ კლასებში, რომლებშიც იწერება ნიშანი (განმსაზღვრელი შეფასება), აკადემიურ-საბაზისო უნარების დეფიციტი დგინდება მასწავლებლის მიერ შერჩეული ინსტრუმენტებით (არადამაკმაყოფილებელი ნიშნებით, დაკვირვებით, ზეპირი და წერილობითი დავალებების დიაგნოსტირებით…);

პროცესთან დაკავშირებულ მხარეებთან (ადმინისტრაცია, ოჯახი, სხვა მასწავლებლები) კომუნიკაცია და თანამშრომლობა:

- რემედიაციის პროგრამის ამოქმედებამდე მასწავლებელმა სკოლის ადმინისტრაციასა და დამრიგებელს უნდა წარუდგინოს მონაცემები, რის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს პროცესი;

- საგნის მასწავლებელი სკოლის ადმინისტრაციასა და დამრიგებელს უთანხმებს მშობლებისა და სხვა კოლეგების ჩართვის საკითხს (საჭიროების შემთხვევაში);

სამუშაო ფორმატის შემუშავება (გაკვეთილში ჩაშენებით, გაკვეთილისაგან მოწყვეტით ან დამატებითი გაკვეთილის სახით):

- საგნის მასწავლებელი სკოლის ადმინისტრაციასა და დამრიგებელს უთანხმებს რემედიაციის პროცესის ფორმატს (გაკვეთილზე ჩართული რემედიაცია, საგაკვეთილო პროცესისგან გამოცალკევებული რემედიაცია);

- საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, მშობლის ჩართულობის ხარისხის გაზრდა.

სარემედიაციო სივრცის მოწყობა (თუ რემედიაცია ხორციელდება გაკვეთილისაგან მოწყვეტით ან დამატებითი გაკვეთილის სახით):

- სარემედიაცო სივრცე ეწყობა სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;

- სარემედიაციო სივრცე სრულად უნდა პასუხობდეს მოსწავლის საუკეთესო ინტერესების განხორციელებას.

სასწავლო რესურსებისა და აქტივობების შერჩევა-მომზადება:

- სასწავლო რესურსები და აქტივობები უნდა შეესაბამებოდეს რემედიაციის მიზნებს;

- სასწავლო რესურსები და აქტივობები იცვლება პერიოდულად.

მეცადინეობების ჩატარება (თუ რემედიაცია ხორციელდება გაკვეთილისაგან მოწყვეტით ან დამატებითი გაკვეთილის სახით) , აქტივობების განხორციელება;

- მეცადინეობის განრიგის შემუშავება სკოლის ადმინისტრაციასთან, დამრიგებელთან, მშობლებთან შეთანხმებით;

- აქტივობათა ეფექტიანობაზე დაკვირვება, მრავალმხრივი და ინდივიდუალური მიდგომების განხორციელება;

- უნივერსალური დიზაინის პრინციპების გამოყენება უკეთესი შედეგების მისაღწევად.

რემედიაციის პროცესის დიაგნოსტირება, ანალიზი, პროგრესის მონიტორინგი:

- რემედიაციის პროცესის პირველადი დიაგნოსტირება, ანალიზი, პროგრესის მონიტორინგი:

- რემედიაციის პროცესის შუალედური დიაგნოსტირება, ანალიზი, პროგრესის მონიტორინგი:

- რემედიაციის პროცესის ფინალური დიაგნოსტირება, ანალიზი, პროგრესის მონიტორინგი:

რემედიაციის პროცესის შესახებ ანგარიშის მომზადება:

- ანგარიში მზადდება რემედიაციის პროცესის აღწერით (პრობლემის იდენტიფიცირებიდან მის აღმოფხვრამდე/შემცირებამდე) და წარედგინება სკოლის ადმინისტრაციას.